პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 264 (13648) | კვირა, 20 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა!

კალინინელები პირველ ადგილზე

ვიათურა. (საკ. კორ.). რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი გ. თაბაგარი), რომელიც მეორე და მესამე კვარტალის მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა.

კალინინელებმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ უკვე შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების ხუთწლედის პირველი წლის დავალება, დაზოგეს 67.800 მანეთი და იანვრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

შექმნათ მძლავრი ტყესაცავი ზოლები

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი შეგრძნებით დაიწყეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე საიუბილეო წლის პირველი დღეები. ყველგან აღაღებულია ენერგიული შრომა, ათა ახალი წარმატებებით დაამავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და ყველა პირობა შექმნან ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის მეტი ოვისა და ბარაქისათვის. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტყესაცავი ზოლების ოვარი კერების შექმნას.

ეს ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უტყეო და მცირეტყიან რაიონებში. და იქ, სადაც ინტენსიურად მოქმედებს მტვრიანი ქარიშხალი, ხორშაკი, ცივი ქარი, ბის ეროზიის საშიშროება. ამასთან ერთად მწვანე ნარგაობა მრავალნაირად არის სასარგებლო დასახლებული ადგილებისათვის. მწვანე ნარგაობას, უწინარეს ყოვლისა, ნიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს. მისი მეოხებით ხდება ჰაერის გაწმენდა მტვრისაგან, ქარების ნელება, სიცხეებისა და სიცივეების შემცირება. მწვანე ნარგავებით ულ ჰაერში მტვერი 10-15-ჯერ ნელებია, ვიდრე შიშველ ქუჩებში ა გზებზე.

მწვანე ნარგავები ქვეყნის სილამაზეა. ამით იქმნება საუკეთესო ობები კოლმეურნეთა, ყველა რომელის კულტურული გართობასვენებისათვის. მწვანე ნარგაობას, ტყეს თავდაცვითი მნიშვნელობაც აქვს.

სწორედ ამიტომ ტყეებს, ტყეცავ ზოლებს დიდ ყურადღებას უთმობენ პარტია და მთავრობა. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში 1966-1970 წლებში ტყესაცავი ზოლების შექმნის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ საქმეში გარკვეული მიღწევების მიუხედავად არის სერიოზული ნაკლიც. ზოგიერთი რაიონული სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სატყეო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ტყესაცავი ზოლების გაშენებას და მათს მოვლას.

ამის შედეგად სახელმწიფო და შიდასამეურნეო ტყის გაშენების 1959-1965 წლების გეგმები არ შესრულებულა. გაშენდა 3.359 ჰექტარი სახელმწიფო ტყესაცავი ზოლები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.189 ჰექტარისა. უფრო ცუდად არის საქმე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. არ დაუშვან ტყესაცავი ზოლების გაშენების დროს აგროტექნიკის მოთხოვნის დარღვევები. მეტი ყურადღება დაუთმონ საჭირო ჯიშის ხეების შერჩევას, განსაორციელონ მოვლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

დიდი, სერიოზული სამუშაოებია შესასრულებელი უახლოეს წლებში. მიმდინარე ხუთწლედში უნდა გაშენდეს 5.000 ჰექტარი სახელმწიფო ტყესაცავი ზოლები და 17.500 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ სამუშაოებთან ერთად აუცილებელია უახლოეს ორ წელიწადში განხორციელდეს გამეჩხერებული ნარგავების აღდგენა და რემონტი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში ევკალიპტის ნერგის გამოყვანა და მისი გამოყენება ტყესაცავ ზოლებში, გზატკეცილებსა და გამწვანების ადგილებში.

ტყესაცავი ზოლები, მწვანე ხეივანი, პარკი მოსავლიანობის გადიდებისა და ადამიანების სიცოცხლის უშრეტი წყაროა. ეს კარგად აქვთ შეგნებული ბევრ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, უწყებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. უკვე გაჩაღდა ლაშქრობა ტყესაცავი ზოლების, მწვანე ნარგავების, ბაღებისა და ვენახების გაშენებისათვის. ამ მხრივ კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ წითელწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, გორის, ქარელის, მცხეთის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ზესტაფონის და სხვა რაიონები. წითელწყაროს რაიონის შირაქის ველზე გაშენებულია 380 ჰექტარზე მეტი ტყესაცავი ზოლი. წლის ბოლომდე კიდევ გაშენდება 135 ჰექტარი, ხოლო მიმდინარე ხუთწლედში წითელწყაროს რაიონში უნდა გაშენდეს 1.130 ჰექტარი. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საერთოდ რაიონში და კერძოდ შირაქში პურის მოსავლის მკვეთრად გადიდებას.

კარგ საქმეს აკეთებს სამგორის სატყეო მეურნეობა. წელს და მომავალ წელს ავჭალის მიდამოებში 262 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ხელოვნური ტყეები. ეს ქარსაცავიც იქნება და ხრიოკი გორაკების მშვენებაც. 1970 წლამდე მინდორსაცავი ტყის ზოლები გაშენდება 1.700 ჰექტარზე. თითქმის ყოველდღე სულ უფრო და უფრო მშვენდება, ლამაზდება საბჭოთა საქართველოს რაიონების ცენტრები, სოფლები, საავადმყოფოები, საწარმო-დაწესებულებანი.

დიდი საშვილიშვილო საქმე კეთდება ქართველი ხალხისათვის კარგად ცნობილ ისტორიულ კრწანისის ველზე. მეორე წელია, რაც აქ გადმოვიდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. მისი მრავალსართულიანი კორპუსები, სასწავლო მეურნეობა აცოცხლებენ ამ მიდამოს. აქ ყველა პირობას ქმნიან ნორმალური მუშაობისათვის. მის ტერიტორიაზე შენდება ტყესაცავი ზოლები, ხეივანი, ტყეპარკი. იგი სულ მალე მწვანეში ჩაფლული სტუდენტთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იქნება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან ყოველნაირი დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ტყესაცავი ზოლების გაშენებაში, დაცვასა და მოვლაში, სატყეო მეურნეობებს გამოუყონ საჭირო სამუშაო ძალა, განუწყვეტლივ გაუწიონ კონტროლი ტყესაცავი ზოლების გაშენებისა და მათი მოვლის გეგმების შესრულებას.

გვახსოვდეს, რომ ნოემბერი და დეკემბერი ტყესაცავი ზოლების, ბაღებისა და ვენახების გაშენების საუკეთესო დროა! ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოთ ამ დარგში დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელება!

ვაშენოთ, ვამრავლოთ ტყეები, შევქმნათ მძლავრი ტყესაცავი ზოლები — ჩვენი ქვეყნის დიდი სახალხო სიმდიდრე და სიცოცხლის შუქრეტი წყარო!

ორიოდე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წელი. ამ დიადი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით შრომობენ ქალაქად და სოფლად. ყველა მშრომელის ხუთრა ნაამაყო საჩუქრები მიუძღვნას დიდ ოქტომბერს. მათ შორის არის რუსთაველი რ. მჭედლიშვილი. ზურამზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ჩამომსხმელი რ. მჭედლიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შეხვედრები ივანოვოს ოლქში

ივანოვო, 19 ნოემბერი. (საკდენი). 15-19 ნოემბერს ივანოვოს ოლქში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი.

ივანოვოში ყოფნის დროს ა. ნ. შელეპინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგესთან პ. კ. სიზოვთან და პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ა. ნ. ხმირნოვთან ერთად გაეცნო ვარენცოვას სახელობის ივანოვოს დიდი მანუფაქტურის, საფეიერო მანქანათმშენებლობის ქარხნის, მელანეთისა და კამოლის კომბინატების, სამკერვალო ქარხნის, ბამბეულის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, იაკოვლევის სელის კომბინატის, პალეხის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკისა“ და პალეხის სამხატვრო სახელოსნოების მუშაობას.

მუშებთან, სპეციალისტებთან, კოლმეურნეებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან საუბრის დროს ა. ნ. შელეპინმა დაწვრილებით გამოიკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და ცხოვრების პირობები, როგორ მუშაობენ მაღაზიები, სახადილოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, როგორ არის მოწყობილი ვაჭრობა. დიდი ყურადღება მიექცა წარმოების გადიდებისათვის საჭირო დამატებითი რეზერვების გამოვლინების, ხარისხის გაუმჯობესებისა და სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს.

19 ნოემბერს სკკპ საოლქო კომიტეტში გაიმართა საუბარი ოლქის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო აქტივთან.

გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი

გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი, პროფესიონალი რევოლუციონერის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებლის ალექსანდრე (საშა) გრიგოლის-ძე წულუკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის იყო და იქნება შთამაგონებელ მაგალითი კომუნისტებისა და ყველა მშრომელისათვის.

რევოლუციის ამ კეთილშობილი რაინდის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და მიმდევრის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა.

სესია მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ნ. შერკვილაძემ.

მოსმენილ მოხსენებანი: პროფესორ ი. ი. მირცხულავასი „ა. გ. წულუკიძე — პროფესიონალი რევოლუციონერი“, რეს-პუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პ. ვ. გუგუშვილისა — „ა. გ. წულუკიძე როგორც ეკონომისტი“ და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ო. მ. ბაკურაძისა „მარქსისტული ფილოსოფიის საკითხები ა. გ. წულუკიძის შრომებში“.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა. (საქდესი).

„კოსმოსი-132“

საკდესის ცნობა

1966 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-132“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,3 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან. (აპოგეა) — 280 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 207 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

საკდესის ცნობა

1966 წლის 20 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირში განხორციელდება მატარებელი რაკეტების გაშვება წყნარი ოკეანის აკვატორის რაიონში 40 საზღვაო მილის რადიუსით, რომლის ცენტრს ექნება კოორდინატები სამხრეთი განედის ნოლი გრადუსი და 5 მინუტი და დასავლეთის გრძედის 163 გრადუსი და 45 მინუტი.

საკდესს დავალებული აქვს განცხადოს, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს სხვა ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც სარგებლობენ საზღვაო და საჰაერო გზებით წყნარ ოკეანეში, მისცენ მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ გემები და თვითმფრინავები არ შეავიდნენ აკვატორიისა და საჰაერო სივრცის ამ რაიონში ყოველდღიურად დღეღამის მეორე ნახევარში 12-დან 24 საათამდე ადგილობრივი დროით.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე დადგმულია: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადმოსაცემად.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. კ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოსტა კარგოს-ძე ჯიოევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1966 წლის 19 ნოემბერი.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო მიშელ დებრე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 19 ნოემბერს კრემლში მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივი შერეული კომისიის საფრანგეთის ნაწილის თავმჯდომარე მიშელ დებრე.

ა. ნ. კოსიგინსა და მ. დებრეს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული ხასიათის საუბარი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ფართო წრის საკითხებზე. საუბრის დროს დაადასტურეს, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის მთავრობას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, გააფართოონ თანამშრომლობა ახალ დარგებში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკე

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით ფინეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის რაფაელ პაასიოს მეთაურობით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა 1966 წლის 15-19 ნოემბერს.

როგორც საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკეშია აღნიშნული, ვიზიტის დროს მხარეებს შორის გაიმართა საუბრები, რომლებმაც სრული ურთიერთგაგებისა და ბეჭულწრფელობის ატმოსფეროში ჩაიარეს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაბაევი და სხვები.

ორივე მხარე კვლავ დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კარგია საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა, და რომ ცხოვრების სხვადასხვა დარგში დამყარებული ურთიერთობა და კონტაქტები ორივე ქვეყანას შორის მუდმივად დადებით შედეგებს იძლევა. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობამ პრაქტიკულად ხორციელდება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

საუბარში მხარეებმა კვლავ აღნიშნეს, რომ ფინეთის მშვიდობისმოყვარული ნეიტრალური პოლიტიკა და ის, რომ ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მეგობრული ურთიერთობა აქვს ყველა სახელმწიფოსთან, დიდად უწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებას და ამით ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

ორივე ქვეყანამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეკონომიური ურთიერთობის დარგში 1966-1970 წლების გრძელვადიანი შეთანხმების დადება სტაბილური და საიმედო საფუძველია ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

მხარეები ერთნაირი აზრისა არიან იმაზე, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობაა. ამასთან დაკავშირებით კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მხარეებს შორის პრინციპული შეთანხმების საფუძველზე ამჟამად შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მუდმივი კომისია იმ მიზნით, რომ განახორციელოს ორივე ქვეყნის ექსპერტების რეგულარული და უფრო ფართო კონტაქტები ეკონომიკის დარგში სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობათა სისტემატური შესწავლისათვის.

მხარეებმა განიხილეს საერთაშორისო საკითხები, რომლებსაც საუბრებში შეეხნენ 1966 წლის ივნისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი პოზიციები საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც გამოთქმულია 1966 წლის ივნისში გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკეში.

ფინეთის მთავრობის სახელით პრემიერ-მინისტრმა რ. პაასიომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია ფინეთში. მიწვევაზე ა. ნ. კოსიგინი მადლობით დათანხმდა. ვიზიტის დრო დამატებით შეთანხმდება.

პრემიერ-მინისტრის რაფაელ პაასიოს მეთაურობით ფინეთის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირში დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში. (საკდესი).

ფინეთის მთავრობის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

ლენინგრადი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ფინეთის მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი რაფაელ პაასიო, დაამთავრა ექვსი დღის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

ლენინგრადელებმა გულთბილად გააცილეს მეგობარი მეზობელი სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ყაზახეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი

18 ნოემბერს მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ყაზახ მსახიობთა საზეიმო კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ამხანაგები: ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი. დარბაზში იყვნენ აგრეთვე ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. ბ. ბეისებაევი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხ. ნ. იმაშევი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, ყაზახეთის სსრ კულტურის მინისტრი ლ. გ. გალიმჟანოვა.

დღეს ტაშკენტში

გინა 75 ათასმა ოჯახმა მიიღო

რა სიხარულითა და ბაზრუნავით ცხოვრობს დღეს მინისძვრის შემდეგ აღდგენილი ქალაქი? თუმცა აქ ისევე თბილა, როგორც ზაფხულში — ქუჩები მზითაა გაკაშკაშებული. ხოლო ტაშკენტელებმა გაიხადეს პალტოები და ლაბადები, მაგრამ ხეებზე შემორჩენილი უკანასკნელი ყვითელი ფოთლები მეტყველებენ, რომ მალე დადგება ზამთარი. მშენებლებმა პირობა დადეს, რომ ზამთრისათვის ყველა დაზარალებულს უზრუნველყოფენ ბინით, ეს, ძირითადად, უკვე შესრულებულია.

ჩავიხედოთ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის რესპუბლიკური მთავრობის კომისიის უკანასკნელ ცნობაში. 7 ათასი ოჯახი შეასახლეს ახალ ხახლებში, 37 ათასზე მეტი დაბრუნდა გარემონტებულ ბინებში, დაახლოებით 7 ათასი კაცი გადავიდა საერთო საცხოვრებლებსა და ხაზოგადოებრივ შენობებში, თითქმის 10 ათასი მიღებულია შემჭიდროებაზე, 13 ათასი გაემგზავრა რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მიწვევით. თუ ამ ციფრებს შეკრებთ, მივიღებთ დაახლოებით 75 ათას. 75 ათასი — სწორედ ამდენი ოჯახი იყო აღნიშნული გაზაფხულზე ცნობაში, რომლებმაც მიწისძვრის შედეგად დაკარგეს ბინები. თორმეტი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ასეთი ციფრი ჩაწერეს დიდი ტაშკენტის მშენებლობის დღიურში მოსკოვის, უკრაინის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის წარომადგენლებმა. შესახახლებლად თავიანთ პირველ შენობებს ამზადებენ ძმური დახმარების სხვა რაზმებიც.

რა თქმა უნდა, მიწისძვრის კვალი მთლიანად არ წაუშლიათ. ქალაქის ცენტრში გრძელდება შენობების რემონტი, მთავრდება ალიზის სახლების მორიგი ჯგუფის აღება. უკვე აღმართა ახალი მაღლივი შენობები. ხოლო ტაშკენტის თანამგზავრ სერგელში, — ახალგაზრდა ხეების მთელი ტყე გაშენდა.

მართალია ჩვენი ქვეყანა დიდად ეხმარება დაზარალებულებს, მაგრამ ტაშკენტელებმა თითონაც ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ ქალაქის სწრაფად აღდგენისათვის. მშენებელთა შეკვეთით ათობით საწარმო ზეგეგმით მიწოდებათა ანგარიშში უშვებს სხვადასხვა მექანიზმსა და მოწყობილობას. ამან „მთავარტაშკენტმშენს“ საშუალება მისცა ახალმობინადრეთა ორდერებში ჩაეწერათ არნახული რაოდენობის ფართობი — მესამედი მილიონი კვადრატული მეტრი. (საკდესი).

• • •

სურათებზე: ქვემოთ — ტაშკენტი. სერგელის ერთ-ერთი ქუჩა; მარცხნივ — ტრალის სატვირთო ავტომანქანები ტაშკენტში გასაგზავნად.

ფოტო ბ. მაზუროვისა

და ი. რახილისა

(საკდესის ფოტოკორესპ.).

ნ. ვ. პოდგორნი ავსტრიაში

კლაგენფურტი, 18 ნოემბერი. საკადრის სპეციალური კორესპონდენტები ბ. ლუკიანოვი და ლ. ტუშავინი იუწყებიან:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, საბჭოთა და ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწეები მოგზაურობენ ავსტრიის მთის რაიონებში.

აი ქალაქი კლაგენფურტიც — კარინთიის დედაქალაქი, რომელიც ბევრ ტურისტს იზიდავს. ვოგზალი და ქალაქი საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად მორთულია ავსტრიის რესპუბლიკის, სსრ კავშირის, კარინთიის მხარის სახელმწიფო ალმებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამხარეო მთავრობის მეთაურმა ჰანს სიმამ.

საბჭოთა სალხის წარგზავნილნი იცნობიან მეტად თავისებურ, ისტორიული და კულტურული ძეგლებით მდიდარ ქალაქს.

ხადაც უნდა გამოჩენილიყვნენ საბჭოთა სტუმრები, ყველგან იგრძნობოდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მეტად სტუმართმოყვარულად და მეგობრულად არიან განწყობილი.

კარინთიის მთავრობის მეთაურმა დარბაზობა გაუმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის. დარბაზობაზე იყვნენ ავსტრიის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, ორივე მეგობარი ქვეყნის ოფიციალური პირნი.

სტუმრები გამოეთხოვნენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს და მატარებელში ჩასხდნენ. წინ არის ზალცბურგის მხარის საკურორტო ცენტრი ბადგაშტაინი.

ბადგაშტაინი, 18 ნოემბერი. (საკადრესის სპეც. კორ.) დღეს საღამოს აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, ავსტრიის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, საბჭოთა და ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწენი.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. ზალცბურგის სამხარეო მთავრობის მეთაურმა ჰანს ლეჰნერმა დარბაზობა გამართა ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად. დარბაზობაზე გამოვიდნენ სალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებელნი.

ბადგაშტაინი, 19 ნოემბერი. (საკადესი). სსრ კავშირის უმაღლესი სხბჭოთ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, საბჭოთა და ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწენი დღეს კვლავ ეცნობოდნენ ავსტრიის ზალცბურგის მხარეს, კერძოდ, ქალაქ ბადგაშტაინს.



ეკლესიის მსახურთა გავლენით იტალიის კანონმდებლობა კრძალავს განქორწინებას. დიდხანია იტალიის ხაზოგადოებრიობა მოითხოვს გადაიჭრას ეს საკითხი. ქალაქებსა და პროვინციებში შექმნილია განქორწინების უფლებისათვის ბრძოლის ლიგის განყოფილებანი. ამ დღეებში რომში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ იტალიის კანონმდებლობაში შეტანილ იქნას სათანადო შუხლები.

ტელეფოტო იუპი.-საკადესისა.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ

ტოკიო, 19 ნოემბერი. (საკადესი). უკვე თვეზე მეტია დასავლეთის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ტოკიოში უღირსად ბევრ დამთვალიერებლებს იზიდავს. ყოველდღე მუზეუმის დარბაზებში, სადაც განლაგებულია ტრეტიაკოვის გალერეის, ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის, ერმიტაჟისა და რუსული მუზეუმის სურათების დიდი საბჭოთა გამოფენა, ფეიერვერკის 4 ათასზე მეტი მოყვარული დადის.

ღიღა ამოფენის გაწვია იაპონიის პრემიერ-მინისტრი ეისაკუ სატო. მან ინტერესით დაათვალიერა ფეიერვერკის ცნობილ ოსტატ და დასავლეთევროპელ ოსტატთა ტილოები, რომლებიც წარმოდგენილია გამოფენაზე.

იაპონიის პრემიერის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ცნობილი რუსი მხატვრის ა. ა. ივანოვის სურათის „ქრისტეს გამოცხადების“ ეტიუდების ფეიერვერკის ფერებში, ი. ი. შიშკინის ტილომ „მზით განთიადული ნაძვები“, და რუს მხატვართა სხვა ნაწარმოებებმა.

—მე არ ვფიქრობ ჩემს თავს სპეციალისტად ფეიერვერკის დარგში, თქვა სატომ გამოფენის დათვალიერების შემდეგ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამგვარი გამოფენების მოწყობა ემსახურება ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლის განვითარებას.

საბჭოთა სურათების გამოფენა ტოკიოში გახსნილი იქნება 25 დეკემბრამდე. შემდეგ მისი ნახვა ფეიერვერკის მოყვარულთ შეუძლიათ იაპონიის სხვა ქალაქებში.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐᲨᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ IX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

სოფია, 19 ნოემბერი: საკადესის სპეც. კორ. დ. ბოჩაროვი და ნ. კო

საბჭოთა სახელმწიფო თავის საიუბილეო — ორმოცდამეათე წელში გადადგა.

ამ საიუბილეო თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის საგულდაგულოდ ემზადება მთელი ჩვენი ხალხი; ემზადებიან ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მეცნიერები, ახალ ქმნილებებზე ფიქრობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. იმედია, რომ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს ისინი მიუძღვნიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც სიმართლით აისახება ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული და გმირული თანამედროვეობა, შემოქმედებითი შრომის სიკეთე.

დღეიდან გაზეთ „კომუნისტის“ ყოველ საკვირაო ნომერში გამოვაქვეყნებთ „საოქტომბრო ლიტერატურულ გვერდს“. აქ თქვენ გაიცნობთ როგორც ჩვენი სახელმოსაგებელი მწერლების, ისე ახალგაზრდა კალმოსნების მოთხრობებსა და ლექსებს, ნოველებსა და ნარკვევებს, მინიატიურებსა და მხატვრულ ჩანაფიქრებს! გვინდა თქვენი კალმის ნამოღვაწარნაც დაამშვენოს ჩვენი საიუბილეო ლიტერატურული გვერდები.

ნამღვილი ამბავი

მახსენება

ელიზბარ მაისურაძე.

ეტეხის აღმართზე მძიმედ მიჭრიალებდა ბრეშით დატვირთული ურემი. მეურმე ტიტო მაღალაშვილი კოფოფინაზე ჩამომჯდარიყო და სახრეს ხან ერთ ხარს გადაკრავდა, ხან მეორეს.

მეურმის შეძახილზე დაჯანდაკებული ... დავარდნილი ხარები უურსაც არ ... ერტყავდნენ. ზანტად ადგამდნენ მუ... ბით ილაჯგაწყვეტილ ფეხებს და ... ოგს მიაქანებდნენ ურემი.

ერთი კვირა იყო, რაც მეტეხის კოლ... ურნეობის თავმჯდომარემ სიმონ ბოგ... ლმა გზებზე ბრეშის დასაყრელად გა... ყო მაღალაშვილი. ტიტო დილიდან ... ალამდე ურემზე იჯდა. მტკვრიდან ... ეშს ეზიდებოდა და უსწორმასწორო ... ებზე ბურდა.

... წინათ ხალხიც ჰქონდა ტიტოს და ... ფიც უხარდა. ურმის კოფოზე ისე ... ოგორ ჩამოჯდებოდა, ტკბილი, გულში... ჩვდომი ურმული არ დაეღლინებინა. ... ახლა კი გულჩათხრობილი იყო. ან რა ... ინდა ხამხიარული. უფროსი შვილი ... ილი ოცდათვრამეტ წელს გაისტუმ... ერმიაში. ის იყო მოათავა სამხედრო ... ბაური და სახლში უნდა დაბრუნე... ლიყო, რომ ომმაც მოუსწრო. მას ... ემდეგ ერთი წერილი აღარ მიუღია ... ვან. არ იცის მკვდარია თუ ცოცხა... ...

... მეორე ვაჟი დურმიშხანი კი, რომე... ც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ... ს დამთავრების შემდეგ ბრეთის მე... ლეობის მეურნეობაში მუშაობდა აგ... ტექნიკოსად, ისე უჩუმრად გაიპარა ... ში მოხალისედ, რომ მამას არც კი ... აგებინა.

— ვითომ რატომაო? — სწყინდა ტი... ს შვილის საქციელი. — მე უარს ვე... ადი? ეხ... ვინ მოსთვლის, რამდენ... ს მახებინეს გორისა და თბილისის ... ები...

... მართლაც. ტიტო მაღალაშვილს რო... ც გულადა და უშიშარ რევოლუ... ონერს არა მარტო კასპის, გორის ... ონზიც კარგად იცნობდნენ. გიგო მა... ლაშვილის რევოლუციურ წრეში ტი... ს ადგილზე აქტიური წევრი იყო. ამ ... ემ გიგოს უშიალო ხელმძღვანელო... ო მთელ საქართველოში პირველმა ... აწყო უუმბარების გასაკეთებელი სა... ემლო სახელოსნო სოფელ თეკ�d... ბთან. თემმის ხეობაში, სახელოს... ს მოწყობილობა თვითონ გიგომ ჩა... ტანა საიდუმლოდ მეტეხში. გიგო ... ბოდ განათლებული კაცი იყო, საზ... �გარეთ ნამყოფი და პროფესიონა... ურ რევოლუციონერებთან ახლო ურ... ერთობა ჰქონდა. სახელოსნო ასფეთ... ეულლით ამარაგებდა გორის მა... ის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ... ტის რევოლუციურ ორგანიზაციას.

... მაგრამ მეფის აგენტებმა მალე მიაკ... ვლეს ამ სახელოსნოს. ოფრო სწორად ... ელოსნოს არსებობა ერთმა ვეკლელ... ოსმა გასცა. ერთ მშვენიერ დღეს პო... ცია დაეცა მათ. მართალია, სახელოს... ვერ ჩაიგდო ხელში, — მოწყობი... ბა რკონის ტყეებში გადამალეს, — ... ამ ტიტო შეიპყრეს და მეჯვრისხე... ციხეში ჩააგდეს. შემდეგ ბორკილი ... ეს და თბილისში, მეტეხის ციხეში ... ოიყვანეს.

... ტომაც მძიმედ განიცდიდა ტიტო ... ანდელ მდგომარეობას. შვილების ... ი იმდენად არ ეღრღნიდა გულს, ... ორც ის ამბავი, რომ მტერი კავკა... ის კარიბჭესთან იყო მომდგარი და ... ართველოს ცეცხლითა და მახვილით ... ქრებოდა. ომის წართმევას უპირებ... რის გულისთვისაც დაიღვარა მილი... ონა სისხლი, რის გულისთვისაც იბრ... ა მთელი თავისი ახალგაზრდობა.

— ბაი დედასა, ტიტოვ, — მწარედ ... ოგმინებდა და ჯვარიანად მკერდზე ... ს დირტყამდა, — განა ომიტომ იბ... ოდი, რომ მტერმა რევოლუციის მო... ოვარი წაგართვას?

... ალაც ამ ფიქრებში იყო გართული ... ტო. აღარ უჯავრდებოდა ხარებს, ხა... ნი მძიმედ. ზანტად ეწეოდნენ უღელს. ... ემი შეუმჩნევლად მიღოღავდა აღმარ... ...

... ეტეხს რომ გასცდა, ახალქალაქის ... ზე ტიტომ ურემი შეაჩერა, კოფო... ნ გადმოხტა და ხრეში გადმოცალა. ... ე ნიჩბით უსწორმასწორო ზნა მოა... ორა, ურემი უკან შემოაბრუნა და ახ... ალი პირდაპირ სახლისაკენ გასწია.

... ოდა. დილის აქეთ არაფერი ეჭამა. ... ღლისას ყოველთვის გაიელიდა ხოლ... ა სახლში პურის საჭმელად, დღეს კი ... ტომღაც არ გახსენებია.

... ზოს კარებთან ტასო შემოეგება.

— ადამიანო, სადა ხარ აქამდე? არ ... ბოვდა? — ალერსიანად მიმართა მა... ...

... ტომ ხმა არ გასცა. ურმიდან ხარე... ბი გამოუშვა, ბოსელში შერეკა, თივა დაუყარა და ტასოს მაშინ მიუბრუნდა.

— გაიკეთე რამე საჭმელი?

— ისეთი ლობიო შეგინელე, ნამდვილად მოგეწონება!

— მაშ გაშალე სუფრა. ხელებს გადავიბან და მოვალ...

მწნილისა და ახალი გამომცხვარი მახობელა პურის სუნმა ჭამის საღერღელი აუშალა მშიერ კაცს. უნდოდა პური გაეტეხა, მაგრამ უცებ ბიჭები გახასენდა, ფრონტზე წასული ბიჭები, და ყელზე მომდგარი ნერწყვი ყელშივე გაეჩხირა.

— ვინ იცის, როგორ უშირთ ან როგორ შიათ... — გაიფიქრა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათს დააცქერდა. ბიჭები შუაზე გაჭრილი ვაშლივით მგავდნენ ერთმანეთს. შემდეგ მზერა მეულლის სურათზე გადაიტანა, რომელიც სამი წლის წინ გარდაიცვალა. ბოლოს შუბედ თავის სურათს, ბორკილგაყრილი რომ იყო გადაღებული. ამ სურათმა ერთხელ კიდევ გაახსენა 1907 წლის რეაქციის სუსხიანი ხანა, თავისი ახალგაზრდობა, გორის, მეჯვრისხევისა თუ მეტეხის მკაცრი საპატიმროები, სადაც ათასობით იღუპებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციონერები.

— ბაი დედასა, ტიტოვ, რამდენი სისხლი დაიღვარა, ნიკოლოზი რომ ჩამოვაგდეთ, ახლა კი ხედავ, ვინ გვედავება სამშობლოს? — უცებად მოაგონდა ნაცვლიანთ იოსებას წელანდელი ნათქვამი და გული შეეკუმშა.

ოთახში ტასო შემოეუნცუღდა, ციცაცი წყალი შემოიტანა.

— ადამიანო, რაღას უცდი, რატომ არა სჭამ პურსა?

— შენ გელოდებოდი. მოდი, დაჯექი! ლუკმა ვერ ჩამდის ყელში. მარტო კაცი ჭამშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონია!..

ტასო გვერდით მოუჯდა მამას. იხ იყო პური უნდა გაეტეხათ, რომ მათი სახლის ეზოს ახალთახალი შავი მანქანა მოადგა.

ტასო სკამიდან წამოვარდა და აივანზე გაიჭრა. მერე ისევ შემოტრიალდა.

— მგონი ჩვენთან არიან, მამა!

ტიტო ეზოში ჩავიდა. ასეთი მანქანა მას არც ენახა მეტეხში გაელილი, ნეტავ ვინ არიანო, გაიფიქრა და მანქანისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია.

ჯერ არც კი დაახლოებოდა, რომ კარი გაიღო და მანქანიდან სახელმწიფო უშიშროების ორგანოს ფორმაში გამოწყობილი გენერალი გადმოვიდა მხლებლებითურთ. ტიტო შეკრთა, ნაბიჯი შეანელა.

— ღმერთო დამიხსენი, ჩემმა ბიჭებმა ფრონტზე ცუდი რამ ხომ არ ჩაიდინეს, — ელვასავით გაურბინა ფიქრმა, მაგრამ ეს აზრი იმ წუთსვე უარყო. ტიტოს ღრმად სწამდა, რომ მისი შვილები არასოდეს არ უღალატებდნენ სამშობლოს, არ შეარცხვენდნენ მოხუც მამას.

გული გაიმაგრა და გენერალი ხელახლა შეათვალიერა. იგი ტიტოს ხნისა იქნებოდა. მაღალი იყო. ბრგე. დიდი, გრძელი ულვაშები ყურებამდე ჰქონდა გადაგრეხილი და მის ვაჟკაცურ, არწივულ სახეს უფრო მეტ შნოსა და ლაზათს აძლევდა.

ტიტო ჯერ ახლოს არ მისულიყო, რომ გენერალი დინჯი, მტკიცე ნაბიჯებით გამოეშართა მისკენ.

— თქვენ ბრძანდებით ტიტო მაღალაშვილი? — მიახლოებისთანავე ჰკითხა და ეს უბრალო, გლეხურ ტანსაცმლიანი კაცი თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

— დიახ, მე გახლავართ, ბატონო! — დაბნეულივით უთხრა ტიტომ და გოგნებული სახეში მიაცქერდა. თან გიფიქრა — ამ „დიდმა კაცმა“ ჩემი სახელი და გვარი ან საიდან იცის ან რაში დავჭიდრდეო.

— გამარჯობა, ამხანაგო, ტიტო. ვერა მცნობ? — გენერალმა სახე გახსნა და ხელი გაუწოდა.

ტიტოს სუნთქვა შეეკრა და ოდნავ აფორიაქებული გული ისევ გენერლის თვალა, მაგრამ გენერალი არცერთი ამათთანგანი არ აღმოჩნდა.

გენერალს სახე შეეკრა და წარბები შეეჭიუხნა.

— მაშ მტები არავინ გაგონდება?

ტიტო ჩაფიქრდა.

— თათარი უანდარმი თუ გახსოვს, ჩვენი ზედამხედველი რომ იყო ციხეში. შენ რომ ჩხუნი მოგვიდა, ვის დაუძახე მომეშველეო, ვინ მოგეშველეს?

— სულ დამავიწყდა... ეგნატაანთ ხაშა. კაცო, ეგნატაანთ ხაშა, — ხმამაღლა წამოიყვირა ტიტომ და ისევ განაგრძო, — ვენაცვალე ომის მარჯვენას, ისე ურტყა იმ ყანდარმს, რომ იმის შემდეგ უბატონოდ ხმას ვეღარ გვცემდა.

გენერალა გაეცინა.

— ჰოდა, ის ეგნატაანთ ხაშა მე ვარ, ჩემო ტიტო, მე!

— ოხ, შენ გენაცვალე, ბიჭო! — ხმამაღლა შესძახა ტიტომ და ხელები გაშალა. გენერალმა მკლავები შემოხვია და რევოლუციის მეგობრები ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ კვლავ ერთმანეთს გადეხვივნენ.

— აბა რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ გეხვომებოდი. მადლობა ღმერთს, არ დაგვიწყებივარ, ჩემო ხაშა, მადლობა ღმერთს...

— რამდენი ხანია აღარ ვყოფილვარ საქართველოში. ახლაც ძლივს მოვახერხე ჩამოხვლა ამ გახურებული ომის დროს. გულმა აღარ მომითმინა და ვიფიქრე: მოდი, ტიტოს ვინახულებ-მეთქი. და აი, როგორც მხედავ, უკვე შენთანა ვარ. სხვა... როგორა ხარ, ბიჭო, ხომ არ დაბერდი. შვილები რამდენი გყავს, რაში ხომ არავინა გყავს წასული?

— როგორ არა, ორი ბიჭი გავისტუმრე...

ტიტო გაჩუმდა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო.

— მაპატიე, ჩემო ხაშა, ლაპარაკი გამიგრძელდა, წამობრძანდი სახლში...

აივანზე ავიდნენ, სკამებზე დასხდნენ. შიგნით ოთახში ტასოს უკვე მოესწრო მაგიდის ალაგება და ახალი სუფრა გადაეფარებინა. ტიტომ თავისი ქალიშვილიც გააცნო ხაშას, რომელმაც მამაშვილურად გადაკოცნა ტასო.

— მეუღლე სადღა არიან? — იკითხა გენერალმა.

— სამი წლის წინ გარდამეცვალა! — ამოიოხრა ტიტომ.

— რას მეუბნები?! რა დაემართა?

— უცბად გახდა ავად და ვერაფერი ვუშველეთ.

სტუმარს წარბები შეეჭიუხნა და მეგობრის მწარე ბედით შეწუხებულმა სინანულით თავი გააქნია. ეტყობა, ძალიან იმოქმედა ტიტოს მდგომარეობამ.

ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა გენერალი. ვინ იცის რას ფიქრობდა ამჟამად. მერე ისევ ფიქრებიდან გამოერკვა და ტიტოს მიუბრუნდა.

— რომელ ფრონტზე იბრძვის თქვენი მეორე ვაჟი?

— ამჟამად მოსკოვშია, უშიშროების ჯარებში მსახურობს. გუშინ მივიღე წერილი: ნაწილში ვარ და ამიტომ დაწვრილებით ვერაფერს ვწერო.

— აბა ერთი მაჩვენეთ ის წერილი.

ტასომ კარადის უჯრიდან წერილი ამოიღო და გენერალს მოკრძალებით გაუწოდა.

გენერალმა ხაკუთხა ბარათს დახედა. მისამართი ჩაიკითხა, ქაღალდში ჩაინიშნა და უნებურად წერილი გადახსნა.

— ძვირფასო მამავ. — იწერებოდა დურმიშხანი, — ვიცი, რომ ჩვენი ფიქრი მოსვენებას არ გაძლევს არც დღე, არც ღამე. შენი სული და ჯანი ჩვენსკენ არის მოპყრობილი. ახლა მე მოსკოვში ვარ, ნაწილში და ერთი სული მაქვს როდის შევებმები პირისხსლიან ფაშისტებს. გაძლევ პირობას, რაც თქვენ, მამებმა, რევოლუციით მოიპოვეთ, ჩვენ, შვილები, იმ მონაპოვარს მტერს არ გავაქელინებთ. თუ ჩემმა წერილმა დაიკვიანოს, ნუ შეგეშინდება, ხომ გითხარი ნაწილში ვარ და აქედან ვერაფერს გეტყვი.

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი გყოლია, ტიტო, — სახე გაუბრწყინდა გენერალს, — კეთილი გვარზე ხტისო, შენ დაგმსგავსებია.

ტიტომ სიამაყე იგრძნო გენერლის სიტყვებზე, ზეზე წამოდგა, ხელი მოჰკიდა, გაულიმა და უთხრა.

— მე ვერაფერთ გაგაკვირვებ, ძვირფასო ხაშა, ჩვენს საუბარს რომ ეშხი ჰქონდეს, მოდი, მაგიდას შემოვუსხდეთ. მეც ახლა დავბრუნდი სამუშაოდან და პური მშიან, მაქვს ქოთანში ამოზელილი. ლობიო, ახალი ჩადებული წიწაკისა და ოდნავ შემწვარული პამიდორის წნილი, თონდან ახლადამოყრილი ჩვენებური მახობელა პური და ჩემი ვენახის მაჭარი. სანამ რამე გაკეთდებოდეს, ამით დავიწყოთ, მე მინდა თქვენთან ერთად დავლიო ომათი სადღეგრძელო, ვინც ჩვენთან ერთად იბრძოდნენ





კომუნისტი

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- □ შეიქმნა „სსრ კავშირ - ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება.
- □ რვა საათი საოპერაციო მაგიდასთან.
- □ სამოქალაქო ომის გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

გაღარჩენილი სიცოცხლე

ეს სიცოცხლით სავსე პატარა გოგონა, რომელიც ახე მეგობრობს თოჯინებს, მაია კალანდაძეა. აბა თუ დაჯერებთ, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მას გულის თანდაყოლილი მანკი აწუხებდა. ბავშვი თამაშობის დროს ადვილად იღლებოდა, ჰქონდა შუილი, ოდნავი სიცხეც კი ცუდად მოქმედებდა მასზე.

და აი მაისში გოგონა მოათავსეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტში, მოსკოვში. პატარა, ხათუთი გული ელოდება ოპერაციას. ეს სარისკო საქმე იკისრა ცნობილმა ახალგაზრდა ქირურგმა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა გლებ მიხეილის-ძე სოლოვიოვმა. რომ დარწმუნდეთ სიმართლეში, რომელთანაც დასტაქარს ჰქონდა საქმე, საკმარისია ვთქვათ, რომ ოპერაცია დილის 9 საათიდან ხალამოს 5 საათამდე მიმდინარეობდა. სიკვდილთან ბრძოლა მაშინაც არ გათავებულა, იგი კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. და აი გაიმარჯვა ადამიანის აზრმა, პატარა გოგონას სიცოცხლემ იზეიმა.

ქირურგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის IX პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მიხედვით ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქს ეწვია პროფესორი გლებ მიხეილის-ძე სოლოვიოვი. ბუნებრივია, მეცნიერს აინტერესებდა მისი ყოფილი პატარა პაციენტის მაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა და იგი მოინახულა. პროფესორმა გულდასმით გასინჯა და ძალზე კმაყოფილი დარჩა. ბავშვის გულს დეფექტის კვალიც არ ანჩდა.

ეთერ მამალაძე.

• • •

სურათზე: მაია კალანდაძე და პროფესორი გლებ სოლოვიოვი. აი რა კმაყოფილია გოგონა, როგორი მადლიერი თვალებით შეჰყურებს თავის გადამრჩენს.

მტკიცდება საქართველოსა და ირანის მეგობრობა

19 ნოემბერს თბილისში გაიმართა საზოგადოებრიობის კრება, რომელიც მიეძღვნა „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნას. ამ საზოგადოების განყოფილების შექმნის შესახებ წინადადება წამოაყენა ახლახან მეცნიერთა, მწერალთა, მუშათა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფმა.

დამფუძნებელი კრება გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. გიგოშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების რეპუბლიკური განყოფილების შექმნა ხელს შეუწყობს კულტურული თანამშრომლობის განვითარებას საქართველოსა და ირანს შორის.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა.

საქართველოსა და ირანის კულტურული ურთიერთობა, აღნიშნა მან, მრავალი საუკუნის წინათ დაიწყო. ჩვენს დროში ამ ურთიერთობამ უფრო მეტი გაქანება მიიღო. ვრცელია საქართველოსა და ირანის მეცნიერული კონტაქტები. მაგალითად, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს ირანოლოგთა დიდი ჯგუფი. აქ იწერება ფუნდამენტალური გამოკვლევები ირანის პოეზიისა და ფილოლოგიაში. გამოცემულია თვალსაჩინო ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა თეული რიგი ნაშრომები და გამოკვლევები ირანის სახვითი ხელოვნების შესახებ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში შეკრებილია ირანის დაზგური ფერწერის ნაწარმოებთა კოლექცია, რომელიც უმდიდრესია მთელ საბჭოთა კავშირში.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა დ. კობიძემ, დოცენტმა ჯ. გიუნაშვილმა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშამ დ. როსნაძემ, დოცენტმა ნ. ნაჭყებიამ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. პატეიმ, უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. სახოკიამ. მათ აღნიშნეს, რომ მეგობრული კონტაქტები, კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლობა ხალხებს უადვილებენ საერთაშორისო ნდობის ატმოსფეროს შექმნის რეალური გზების გამონახვას. მეგობრობის საზოგადოების განყოფილების შექმნით, აღნიშნეს ორატორებმა, თითქოს ხაზს ვუსვამთ, თუ რა მტკიცეა მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა და ირანელ ხალხებს შორის.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება. გამგეობის წევრებად არჩეულია 43 კაცი.

იმავე დღეს გაიმართა „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების ახალი განყოფილების გამგეობის სხდომა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია შ. ამირანაშვილი. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან საქართველოს ენციკლოპედიის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, დოცენტები კ. ფალავა და ჯ. გიუნაშვილი, პასუხისმგებელი მდივნად — ნ. კოჭლაშვილი. (საქ. დისი).

„ჯრამოლური“ წიგნის გაპოცანა

1903 წელს გამოცემული ა. ნ. რადიშჩევის წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ სასწაულად გადარჩენილი ერთი ეგზემპლარი აღმოჩენილია უზბეკეთის ალიშერ ნავოის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ცნობილია, რომ ამ წიგნის ტირაჟი სტამბაშივე აკრძალეს და ჯალადის მასად ჰქცეულ.

როგორ გადარჩა ეს ეგზემპლარი? რა გზით მოვიდა ეს „მოგზაურობა“ უზბეკეთში? ვიცმა ხელმა დადო „ჯრამოლური“ წიგნი უზბეკეთის საჯარო ბიბლიოთეკის თაროზე ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დამდეგს? ორ რამდენი გამოცანა დაუსვა ტაშკენტელ ბიბლიოგრაფებს შეხანიშნავი რუსი მწერლის ამ წიგნმა. (საკდესის კორ.).

ახალი უნივერსალური მაღაზია

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქს შემატა კიდევ ერთი ლამაზი ნაგებობა. აქ აშენდა ახალი უნივერსალური მაღაზია. იგი ოთხსართულიანია. აქვს ქსოვილების, ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის, გალანტერიის, რადიოს, ტელევიზორების, მუსიკალური ინსტრუმენტების სექციები. შენობის მეოთხე სართულზე განლაგებულია კაფე და კინოთეატრი.



სურათზე: ახალი უნივერმაღი.
(საკ.ესის ფოტოკორონიკა).

ღუკიანე თაბუკაშვილის ხსოვნისათვის

კორუსტენი (ეიტომირის ოლქი), 16 ნოემბერი. (საკდესი). აქ რკინიგზის კვანძზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბოქაღაო ომის გმირის ღუკიანე თაბუკაშვილის ხსოვნას. მის შესახებ დამაწერეთ მოგონებანი გაუსაიარეს ჯავშნიანი მატარებლის „კოროსტენის რაიონის კომუნისტის“ ყოფილმა მეტყვიამფრქვევემ ვ. ნ. გუნდორეევმა, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომისტმა ა. ი. გალაქტიონოვმა და სხვებმა.

კოროსტენის ვოენსლის შენობაზე მოათავსეს მემორიალური დაფა, რომელზეც ამოკვეთილია სიტყვები: „აქ 1916-1917 წლებში სადაურის მორიგედ მუშაობდა საბოქაღაო ომის გმირი ჯავშნიანი მატარებლის „კოროსტენის რაიონის კომუნისტის“ მეთაური ღუკიანე თაბუკაშვილი“.

საბოქაღაო ომის დროს ადგილობრივი დეპოს მუშებმა გაკეთეს ჯავშნიანი მატარებელი და გაგზავნეს ფრონტზე. ფოლადის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ღუკიანე თაბუკაშვილი მეთაურობდა, სახელოვანი საბრძოლო გზა გაიარა, მონაწილეობდა ოერუშთან, ეიტომირთან, პროსკუროვთან გამართულ ბრძოლებში პეტლიურელების წინააღმდეგ. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა ჯავშნიანი მატარებლის მეთაური.

კოროსტენელები სათუთად ინახავენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ხსოვნას. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაერქვა. მხარეთმცოდნეებმა აღმოაჩინეს ბევრი იშვიათი ფოტოსურათი და დოკუმენტი, რომლებიც ასახავენ ღუკიანე თაბუკაშვილის გმირობას უკრაინაში.

ნავთოვნი ურალში

სამხრეთ ურალში გეოლოგებმა აღმოაჩინეს დიდი სიმძლავრის სპილენძის მადნის ზონა. ახლა აქ ბურღავენ სადაზვერვო გვირაბებს, რის შემდეგაც განსაზღვრავენ მადნის ველის ფარგლებს.

წიაღის მზვერავთა ნაპოვნი დიდ პერსპექტივებს სახავს სპილენძის მადნის საბადოთა ძებნისათვის სამხრეთ ურალში, თქვა ჩელიაბინსკის გეოლოგიური დაზვერვის ტრესტის მთავარმა გეოლოგმა ბ. პოპოვმა. შეიძლება ჩვენ სპილენძის დიდი საბადო აღმოვაჩინოთ.

ეცხოეთში, გასტროლებზე

ბავანა. საკდესის კორესპონდენტი რ. კნიაზევი იტყობინება:

აქ დამთავრდა დიდი თეატრის ბალეტის გასტროლები. ადგილობრივი პრესა ამ გასტროლებს კუბის დედაქალაქის წლევანდელი კულტურული ცხოვრების უდიდეს მოვლენას უწოდებს.

საბჭოთა მსახიობებმა 11 დღის განმავლობაში გამართეს 13 წარმოდგენა. მათ აჩვენეს „გედის ტბა“, „უიზელი“ და ორი დიდი კონცერტი, რომელშიც შეტანილი იყო რუსული და მსოფლიო საბალეტო კლასიკის საუკეთესო ნაწარმოებთა ფრაგმენტები.

რაისა სტრუჩკოვას, ნატალია ბესმერტნოვას, ლუდმილა ბოგომოლოვას, ნატალია ფილიპოვას, მარისა ლიეპას, ალექსანდრე ლაფაურის, შამილ იაგუდინისა და ბევრი სხვა მსახიობის შესანიშნავ ოსტატობას მხურვალედ შეხვდა მაყურებელი და ადგილობრივი კრიტიკის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

მექსიკაში გაფრენის წინ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რაისა სტრუჩკოვამ უთხრა საკდესის კორესპონდენტს:

მეტად კმაყოფილი ვართ კუბაში გამოსვლით. ყოველი სპექტაკლის წინ ძალიან ვღელავდით: ჩვენ უნდა გამოვსულიყავით ისეთი საზოგადოების წინაშე, რომელიც კარგად ერკვევა საბალეტო ხელოვნებაში... ძალიან შეგვიყვარდა ბავანის საზოგადოება. გულდაწყვეტით ვშორდებით გმირ კუბას და იმედი გვაქვს, რომ კიდევ ჩამოვალთ აქ“.

მექიკო. (საკდესი). კუბაში წარმატებით გამართული გასტროლების შემდეგ აქ ჩამოვიდა დიდი თეატრის საბალეტო დასი. მსახიობები აქ დაახლოებით ერთ თვეს დარჩებიან.

მექსიკის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს სახელგანთქმული ბალეტის გასტროლებისადმი.

იაუნდე, (საკდესი). აქ ჩამოვიდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი.

საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან მოსკოველი, ლენინგრადელი და თბილისელი მსახიობები, რამდენიმე კონცერტს გამართავენ იაუნდეში და კამერუნის სხვა ქალაქებში. ისინი კამერუნელებს უჩვენებენ მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ბალეტი, საბჭოური და ხალხური სიმღერები და ცეკვები და სხვა ჟანრები.

საბჭოთა მსახიობები კამერუნში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირ-კამერუნის კულტურული შეთანხმების შესაბამისად. საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლები უკვე მეორედ ეწვევიენენ კამერუნს. საბჭოთა მსახიობების პირველი ჯგუფი კამერუნში იყო 1965 წლის იანვარში.

ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტი

წყალტუბო. (საკ. კორ.). წყალტუბოსა და მეზობელი რაიონების მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც ამ ორი წლის წინათ შეიქმნა რაიონულ საავადმყოფოსთან.

ამ დღეებში მოხდა უნივერსიტეტის პირველი გამოშვება. ორწლიანი კურსი დაამთავრა 130 მსმენელმა. მათ შორის არიან მეშვები, მოსაშასტურეები, კოლმეურნეები და დიასახლისები.

გეოგრაფთა ოქროს მედლები

ლენინგრადი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭომ საზოგადოების ოქროს მედლები და საპატიო დიპლომები მიანიჭა მეცნიერთა ჯგუფს — თვალსაჩინო გეოგრაფიული ნაშრომების ავტორებს. დიდი ოქროს მედალი მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ს. ვ. კალესნიკს ლანდშაფტმცოდნეობის, ნიადაგმცოდნეობისა და გლაციოლოგიის, აგრეთვე ფიზიკური გეოგრაფიის ზოგადი თეორიის დარგში ნაშრომების ციკლისათვის.

გამოჩენილი რუსი მოგზაურის ნ. მ. პრეჟევალსკის პატივსაცემად დაწესებული ოქროს მედალი მიენიჭა პროფესორ გ. გ. სამოილოვიჩს კაპიტალური ნაშრომისათვის „აეროფოტოგადაღებისა და ავიაციის გამოყენება სატყეო მეურნეობაში“.

ცნობილი რუსი მოგზაურის სიმონ დეჟნევის პატივსაცემად დაწესებული საპატიო პრემია მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ვ. ეფიმოვს „ციმბირსა და ჩრდილოეთ ამერიკაში (XVII-XVIII საუკუნეები) რუსთა გეოგრაფიული აღმოჩენების ატლასის“ შექმნისათვის. ატლასში დაბეჭდილია 270-ზე მეტი ორიგინალური რუსული რუკა.

საპატიო დიპლომები მიენიჭათ ავტორთა კოლექტივებს, რომლებმაც შეადგინეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკების გეოგრაფიული ატლასები.

ნახეთ

21 ნოემბრიდან თბილისის ეკრანებზე

ახალი სათავგადასავლო მხატვრული ფილმი

„უყაიმო თამაში“

სცენარის ავტორები: ი. ქავთარაძე, ბ. ისაევი, ლ. ალექსიძე; დამდგმელი-რეჟისორი ი. ქავთარაძე; როლებში მონაწილეობენ: გ. ტყაბლაძე, გ. ბოსტონელიძე, ი. კახიანი, ვ. ქავთარაძე და სხვ.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები. 1966 წელი.

აქინდი

გუშინ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო სოხუმში — 25, ბათუმში — 23, თბილისში — 14 გრადუსი.

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში უნალექრდ. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში — 22-27 გრადუსი, მთაში — 15-20, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 15-20, მთაში — 8-13 გრადუსი.

თბილისში უნდა მოველოდეთ ცვალებად მოღრუბლულ ამინდს უმნიშვნელო წვიმით ეროვნულ ტუსტი ქარი. ტემპერატურა — 18-20 გრადუსი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს

(ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1)

1966 წლის 30 ნოემბერს დღის 12 საათზე № 107 აუდიტორიაში **რევაზ ავქსენტის-ძე მიშველაძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართული ხატირული ეუონალისტიკა (1905-1908 წ.წ.)“.**

1966 წლის 30 ნოემბერს დღის 2 საათზე № 107 აუდიტორიაში **ფილიპე ევსევიხ-ძე ბერიძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება“.**

(ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 11)

1966 წლის 30 ნოემბერს დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში **ირმა კონსტანტინეს ასული მურვანიშვილი** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ჰარგვის ხეობის მიკროფლორა“.**

1966 წლის 30 ნოემბერს დღის 4 საათზე № 1 აუდიტორიაში **მზია ალექსანდრეს ასული კორძაია** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ხერხემლიან ცხოველთა საყლაპავი მილის და კუჭის მოსაზღვრე მიდამოს შედარებითი ჰისტოლოგიისათვის“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ეროვნულ ეკონომიკაში

ტელევიზია

20 ნოემბერი

10.50 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — კონცერტი მოსწავლეთა დაკვეთით, 11.40 — მხატვრული ფილმი „პირველკლასელი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღე“, 17.30 — „კინოპანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.50 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 19.35 — კინონარკვევი, 20.25 — საქართველოს ტელევიზიის დადგმის „უკეთუ გაცდუნებდეს“ პრემიერა, 21.05 — კინონარკვევი, 21.55 — გადაცემა — „კინოვარსკვლავები, მეტეორები და. მაყურებელი“ (გადაცემა 11), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 21 ნოემბრისათვის, 23.00 — გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბუდაპეშტიდან).

21 ნოემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — ფილმი-ოპერა „იოლანტა“, 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო“ თბილისი-„ტორპედო“ მოსკოვი. შესვენების დროს განცხადებები, 19.45 — გადაცემა „განახლებული მუზრანი“, 20.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — საინტერესო შეხვედრებს კლუბი, 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის კამერული ანსამბლი „ნოტები“, 21.40 — ფილმი-ოპერა „იოლანტა“, 23.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 16 ს. 55 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩემპიონები ისვენებდნენ

ბაკანა, 19 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ. გრიგორიანტერი ი. ბოგდარეშვილი).

როცა მოკადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის მთავარი ფინალის ხაბოლოო, მეცამეტე ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრება ხდებოდა, ჩვენი გროსმაისტერები, რომლებმაც უკვე მოიბოვეს გამარჯვებულის ოქროს მედლები, ისვენებდნენ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ლ. ეფანსის (ამერიკის შეერთებული შტატები) და დ. დრიმერის (რუმინეთი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუმინეთის მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. იუგოსლავიამ მოუგო ესპანეთს — 3,5:0:5, ჩეხოსლოვაკიამ — კუბას — 3:1, ერთნაირი ანგარიშით 2,5:1,5 დამთავრდა უნგრეთ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისლანდია-ნორვეგიისა და ბულგარეთ-დანიის მატჩები.

რ. ფიშერის თხოვნით მისი უკანასკნელი ტურის პარტია კუბელს **ე. ხიმენესთან** ვადამდე ითამაშეს — არა შაბათს, არამედ პარასკევს დილით. 32-ე სვლაზე ამერიკის ჩემპიონმა გამარჯვება მოიპოვა.

◆ ფინიში... საზღვარგარეთ

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ჩვენი უძლიერესი საკლუბო, აგრეთვე ნაკრები გუნდები წელს საფეხბურთო სეზონს საზღვარგარეთ დაამთავრებენ.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები რამდენიმე მატჩს გამართავს ჰოლანდიაში, მექსიკასა და კუბაში. იგი მოსკოვიდან 24 ნოემბერს გაემგზავრება. ნაკრების შემადგენლობაში არიან: მეკარეები — **რ. ურუშაძე** და **ლ. კუდასოვი**; მცველები — **ს. კრულიკოვსკი, ვლ. ლეჩენკო, ვ. შტაპოვი, ვ. ივანოვი, ვ. ანიჩენი**; ნახევარმცველები — **ა. ილიადი, ვ. მუნტიანი, ი. ხავოსტიკოვი, ტ. შულიატიცა**; თავდამსხმელები — **ე. ბუცოშვილი, ვ. ფედოტოვი, ს. ვარგა, ლ. ადამოვი, ა. ეს.ოვი, ბ. ანდურაიმოვი, ა. პილიპჩუკი.** ოლიმპიური ნაკრები. გუნდის უფროსი მწვრთნელია **გ. კარაანინი**, მწვრთნელი — **ნ. სიმონიანი.** (საკდესი).

მოჭადრაკე ქალთა ტურნირი

ორი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, გათამაშდა აგრეთვე გამოტოვებული პარტიები.

ც. ალბაბრიშვილი ბრძოლის გარეშე ულაბლებლად დანებდა **თ. ბოიკოს**, **ვ. ჯოლლოვსკაიამ** მოუგო **ბ. ბიკოვას.**

ორი გამარჯვება იზეიმა ლეონიდამ მოკადრაკემ **თ. მოროზოვამ**. მან დაამარცხა **საერთაშორისო** ოსტატები **ა. ჩაიკოვსკაია** და **ჯ. ბაკოკოვა.** კუდაბერეველმა **ა. კისლოვამ** მოუგო ალმაატელ **ა. შუსლიმოვას.**

საერთაშორისო ოსტატმა **ზ. ბალუოლოვსკაიამ** (ბაკო) **თ. ბოიკოს ჩანთან** პარტია გადადო. პირველ ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია აქვს გადადიდ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი **ე. კაკაბაძისა** და **ნ. ალიქანიანისა** პარტია. **ე. კაკაბაძე** მცირე უპირატესობის იხარჩუნებს.

გუშინ მესამე ტურში ლ. ილდერიმმა მოუგო **თ. ბოიკოს**, **ტ. ზასლავსკაიამ** — **მ. ბაკაბაძეს**, **ვ. ბელოლოვსკაიამ** — **ა. კისლოვას**, **თ. ბოიკოს** — **ლ. ილდერიმს** და **თ. მოროზოვამ** ყაიმზე **ზ. ბალუოლოვსკაიას**.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია ლ. ილდერიმი, რომელსაც 3 ქულა აქვს.



ასპარეზობათა მოპოვარსაჩუქრები

1967 წლის ზაფხულში მოსკოვის სპორტულ ბაზებზე დიდ ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის IV სპარტაკიადის ფინალში გამოვლენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ესოდენ გრანდიოზული სპორტული ასპარეზობის ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა მთავარ მსაჯთა კოლეგია, მთავარი მდივანი და მთავარ მსაჯები ოცდახამივე სახეობა სპორტში, რომლებიც შევა სპარტაკიადის პროგრამაში.

მსაჯთა ძირითადი კოლეგიის შემადგენლობაში უხელმძღვანელებს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე **ლ. ს. ხომენკოვი.** მან მეჯაჭვს 11 მოადგილე. (საკდესი).

უცხოეთის სტადიონებზე

მიუნხენში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი ფეხბურთში მადრიდის „რეალსა“ და დასავლეთ გერმანიის „მიუნხენს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით 1:0.

პარიზის „დუკლამ“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაამარცხა ბელგიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ანდერლეხტი“. 4:1 (2:1).

გამოვლინდა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალისტი ფეხბურთში. ეს უფლება მოიპოვა ჟენევის „სერვეტმა“, რომელმაც ორ მატჩში სძლია რომლერდამის „სპარტას“ (2:0, 0:1).

მილანში ჩემპიონთა თასზე მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „ინტერნაციონალესა“ და ბუდაპეშტის „ვაშაშს“. გაიმარჯვა „ინტერნაციონალმა“ 2:1.

იუგოსლავიის ჩემპიონმა „ვოჯოდინამ“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო“ 3:1.

ალიოეშში ამხანაგური მატჩი გამართეს რუმინეთისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებებმა. წარმატება რუმინელებს ხვდათ 4:3 (2:0).

◆ „კაირატი“ — „ლოკომოტივი“

გუშინ გაიმართა კიდევ ერთი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. ალმაატელ თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.



„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2
ტელ. 5-21-62

20 და 21 ნოემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის 1 ჯგუფის გუნდებს შორის „ბორპედო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი

20 ნოემბერს სათადარიგო შემადგენლობანი.
დასაწყისი 16 საათზე

21 ნოემბერს ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 18 საათზე.

21 ნოემბრისათვის ბილეთები აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალარობებში 20 ნოემბერს 12-დან 18 საათამდე. შეხვედრამდე 14-დან 15 საათამდე.

ბილეთების საერთო გაყიდვა 21 ნოემბერს 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 ხამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: ბარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, ხოფლის მეურნეობის — 9-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი ხასწავლებლებისა და ხკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 12876

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.